საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზადენგორა

ზადენგორა, ნასოფლარი და მრავალფენიანი ძეგლი სამცხეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ოცხის (ოძრხის) მარცხ. ნაპირზე, სოფ. ბენარის მახლობლად. ტოპონიმი დაკავშირებულია ღვთაება ზადენთან. ზ-ში ქრისტ. საკულტო ცენტრის არსებობაზე მიუთითებს ლეონტი მროველი (XI ს.). სამხრ. საქართველოში, კერძოდ, ზ-ზე მისულმა ანდრია პირველწოდებულმა: „...იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცნა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს". მემატიანის ცნობა დასტურდება არქეოლ. ძეგლებით. აღმოჩენილია: ბრინჯაოს ნიღბიანი ხარის ქანდაკება; კარგად გათლილ-დამუშავებული ქვის კვარცხლბეკი, რ-ზეც, სავარაუდოდ ღვთაება ზადენის ქანდაკება იდგა; რიყისა და კლდის ნაფლეთი ქვებით თიხახსნარზე ნაგები დიდი შენობისა და ქვის კიბის ნაშთები, რ-ებიც ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებულა; ქვაყრილით დაფარული წმინდა ცეცხლის ორმო, რ-იც ნაცრითა და ნახშირით იყო სავსე. თიხით შელესილი ორმოს კედლები შემკული იყო გარკვეული ინტერვალით დაშორებული ვერტ. ღარებით. მომდევნო, ქრისტ. ეპოქაში ზ-მ ფუნქცია დაკარგა, თანდათან დაკნინდა და XIX ს. მიწურულამდე არსებობდა როგორც პატარა სოფელი.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება, ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ლიტ.: Бибилури Т. И., Бенашвили О. А. и др., Работы Заденгорского отряда Месхет-джавахетской экспедиции, *კრ.*: Полевые археологические исследования в 1984–85 годах, Тб., 1987.